ნია ჩიტაია
FH Joanneum უნივერსიტეტი, ავსტრია
კავკასიის ბიზნესის სკოლა

“ბავშობიდანვე მქონდა ოცნება რომ საზღვარგარეთ განათლება მიმეღო და წელს ამ ოცნების ასრულების შესაძლებლობა მომეცა. ავსტრიაში FH Joanneum-University of Applied Sciences-ში ერთი სემესტრით Ernst Mach Grant სტიპენდიით გავემგზავრე. 5 თვის განმავლობაში ისეთი საოცარი გამოცდილება მივიღე, რომ გადავწყვიტე Erasmus+ პროგრამით მეორე სემესტრშიც წავსულიყავი იგივე უნივერსიტეტში. ეს ერთი წელი არის დაუვიწყარი მოგონებებით სავსე, რომლებიც მთელი ცხოვრების გზაზე გამყვება.

ამ პერიოდში დავუმეგობრდი ხალხს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან , გავეცანი სწავლის განსხვავებულ მეთოდებს, ვიმოგზაურე ევროპის ქვეყნებში ახალ მეგობრებთან ერთად, ვისწავლე დამოუკიდებლობა, სირთულეებთან მარტო გამკლავება, უცხოელ სტუდენტებთან კომუნიკაცია და მათი კულტურა.

გრაცი არის სიდიდით მეორე ავსტრიაში და სტუდენტურ ქალაქს უწოდებენ, რადგან ყოველი მეექვსე მცხოვრები სტუდენტია. აქ ცხოვრება არის მყუდრო და კომფორტული. ის ახლოს მდებარეობს ევროპის სხვა ქვეყნებთან და შესაბამისად შაბათ-კვირას უცხო ადგილების მონახულებას მარტივს ხდის.

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რადგან ეს არის ჩემი წარმატებული კარიერისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი.”